

სახალხო ბაზარი

სურათებიანი ჟამბიზა

გაზეთის № 977

დაგასტების № 172

კვირა, 25 აგვისტო 1913 წ.

სინათლე*)

ზღაპარი ფერია
3 მოქმედ. და 7 სურათად.
მოქმედება მისამე.

სურათი I

(მთიანი ადგილი. აქა-იქ ტყე მოსჩანს. უკანა სცენის მარცხენა მხარეს ფართო გამოქვაბული. ცისფერი სინათლე. იქვე გამოქვაბულთან ნაკადული. საზოგადოდ სურათი ნაზი და მომხიბვლელია. გამოქვაბულიდან გამოდის ავთანდილი. ხელთ უკავია ოქროს შანდალი სანთლით. დაგლეჯილ ტანისამოსია. ხანჯალი ჰკილია.— გამოვა გამოქვაბულიდან და ნაკადულთან დაჯდება, წინ დაიდგამს შანდალს, ამოიღებს ტალკვესს და ცეცხლს გამოჰკვებს. აანთებს სანთელს და უმალ ტყიდან გამოცვივდებაან ფერიები: პირიმზე, მთვარია, ბროლისახე, ნათელა, წკრიალა და ანკარა).

პირიმზე. მიირთვი, მეფის შვილო!..
ავთანდ. მეფის შვილო?... რომელი მეფის შვილი მნახეთ... ან საიდან განჩლით თქვენ?... ვინა ხართ?..

მთვარია. რა წამს ოქროს შანდალს აანთებ, უმალ ჩვენ გაგჩნდებით, სადაც უნდა იყვი... ვის ხელშიც ეგ შანდალია ჩვენ მისი მსახურნი ვართ... გააქრობ და ჩვენც, გააქრებით...

ბროლისახე. გვიმსახურე, მეფის შვილო!

ავთანდ. კიდევ მეფის შვილი... მე რა მეფის შვილი მნახეთ-მეთქი... რის მეფე, რის მეფის შვილი? ერთად-ერთი მეფე და ქვეყნის მბრძანებელი არის დიდებული ქაჯთა მეფე, სახელოვანი დავრიში... მე კი მისი მონა მორჩილი...

წკრიალა. ნუ თუ მართლა შენი ვინაობა არ იცი?

ანკარა. ნუ თუ დაგავიწყდა შენი სამშობლო?
ნათელა. ან თქვენი დიდებული სამეფო?
პირიმზე. ან სახელოვანი მეფე ჯიმშერი, ვაჟა შენი?
ბროლისახე. შენი შეგნებით საესე დედა, დედოფალი?
მთვარია. ნუ თუ არც შენი ტოლი და ამხანაგი ძმა გორჯასპიც არ გაგონდება?..
წკრიალა. რამ დაუკარგა მესხიერება?..
ნათელა. არც ბრწყინვალე თქვენი სასახლე, გულ-წარბ-ტაცი სასახლის ბედი განსოვს?..

ავთანდ. თქვენ თურმე სიზმრებს მიაშობთ და მე კი მართალი მეგონა... სასახლე, მეფე... სამშობლო... ძმა... დედა... ოჰ, წინად თითქოს მაგვარ სიზმრებს ვხედავდი ძილში... დაცა, დაცა... სასახლე... ოქროთ მოვარაყებული გაჩირაღდნებული დარბაზები... ეზო, მოედანი დიდროვანი კაკლის ხეებით... ბაღი... ჰო-ო, წინად ხშირად ვხედავდი სიზმრად... ხშირად ვილაც მშვენიერი ქალი მესიზმრებოდა, მიაღერებდა,

მკოცნიდა... სულ კი სტიროდა, სტიროდა... ოთხი წელიწადი მეტი იქნება ეს ქალიც აღარ მინახავს სიზმრად...

პირიმზე. სულ გადავიწყებია...
მთვარია. გადაგვარებულა!..
ბროლისახე. მოუჯადოებიათ!..
ნათელა. მე კი მეგონია, ჰკვავედ შერყეულა...
წკრიალა. ქაჯების მიერ შეჩვენებულია...
ანკარა. ჯოჯოხეთით გარდაქმნილია...
პირიმზე. აქ რად მოსულხარ, ან საიდან მოსდიხარ?..
ავთანდ. ჩემმა ბატონ-პატრონმა დიდებულმა ქაჯთა მეფემ გამომგზავნა, აი, ამ შანდლისათვის... ეს შანდალი უნდა მივართო მას... ცხრა მთა გადმოვიარე, ოთხი წელიწადია რაც მოვდივარ და ჩემი მეფის ბრძანება კი აღვასრულე... ახლა დავბრუნდები და მივართმევ შანდალს...
მთვარია. მაგოდენა ხანს რითი საზრდოვებდი? ან ჯამა არ გინდოდა, ან სმა?..
ავთანდ. ჰმ! ჩვენს მეფეს ყოველისფერი შეუძლიან... რომ



მგზავნიდა აი ეს სალამური მიზობა. ამას დაუკრავ და უმალ მომერთმევა ყოველგვარი სასმელ-საქმელი...

ფერიები. (ერთად) ახლა კი გვესმის... ახლა კი ვხედავთ...

ავთანდ. დიდი გზა გამოვიარე, ბევრი რამ ვნახე... ბევრი რამ შევიწყვლე... ვარჩევ და ვიგებ ფოთოლო შრი-ალსა, როდესაც ნაზი სიო მათ შეეთამაშება... მესმის ტყის ჩურჩული და ხმაურობა... ფრინველთა გალობა... მგლის ლმუილი, ტურის კნავილი, ბულბულის ყევა, ყვავის ჩხავილი, მერცხლის კიკიკი, — ყოველისფერი შევისწავლე... ბევრი რამ გადამხდა, მაგრამ ძლიერია ქაჯთა მეფე და მის მოციქულს, მისგან მოგზავნილს ვერარას ავენებს ვერვინ ამ

კნ. ვ. აბაშიძისა, რომელმაც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა შორაპნის მახრამში მდებარე მამული.

ლოტბარიქალი ე. ბრიუნელი, რომელიც ტფილისში სიმფონიური კონცერტის გამართვას აპირებს.

ქვეყნად... ვებრძოლე ვეფხვსა, ვეომე ლომსა, დავამარცხე მგელთა ხროვა... აი, ეს ხანჯალი, ხომ ხედავთ რა კარგია... ხელად ვიშოვე... ვილაც მგზავრს გზაში დასძინებოდა, ეს ხანჯალი ზედ ეკრა... მივებარე, ვწვდი დიდს ლოდსა და დავეცი თავში... არც კი ამოუოხრავს, სწრაფლ სული ამოსძვრა... შეგხსენი ხანჯალი და არა ერთხელ დავლოცე ქაჯთა მეფის დიდება...

პირიმზე. შენ მოჰკალ აღამინი?..
ავთანდ. მერე რაო?..
მთვარია. მძინირე კაცი?..
ავთანდ. მაშ ისე ხსნჯალს ხომ არ დამანებებდა?..
ბროლისახე. ნუ თუ არ შეგეცოდა?..
ავთანდ. ხანჯალი მომეწონა და შეცოდება კი არ ვიცი რა არის...
წკრიალა. საშინელებაა!..
ავთანდ. ოთხი მთა რომ გადმოვიარე, მაღალ მწვერვალზე ვილაც მეცხვარე იჯდა და აი ამ ტალკვესით ცეცხლსა ჰკვებსავდა... ცხვრის ფარაფერლობზე გაფანტულიყო... შორი-

*) იხ. სურათებიანი დამატება № 171.

ახლოს ძაღლები ეყარნენ... მივედი, მივესალმე, ლაპარაკი ჩამოუგდე... მიმიწვია, ახალი ყველით და კარაქით გამომასპინძლდა... ამ დროს მარცხნივ ძაღლმა დაჰყეფა... მეცხვარე იქით მიბრუნდა... ვატაკე ზურგში ხანჯალი... ერთი კი დაიხრიალა და დაგორდა ფერდობზე... დავეწიე, ტალკვისი წავგლიჯე ხელიდან და გამოეწიე... კიდევ მადლობით ვახსენე ქაჯთა მეფის სახელი...

ფერიები. საშინელებაა, საშინელებაა... ქვესკნელის ძალას შეუბოროკია... (ავთანდილი მიწვება, თითქოს სთვლემს. ფერიები ლეჩაქებს უნიავებენ).

ავთანდ. თითქოს გამოქვაბულში ბევრი მეძინა და მაინც კიდევ ძილი მერევა... (ამტქნარებს ფერიები უფრო სიჩქარით უნიავებენ ლეჩაქებს. ავთანდილს ჩაეძინება).

პირიმზე. ჩაეძინა. აბა, ჩქარა ფერიებო, უშველოთ, განვაშოროთ ქაჯთა ძალა, დავიხსნათ ჯოჯოხეთისაგან!.. სწრაფლ ამოაცალეთ სალამური და ტალკვისი (ამოაცლიან) ხანჯალი მოხსენით (მოხსნიან) მოიტათ აქა... შეუღოცოთ და განეწმინდოთ ყოველ სიბოროტისაგან... (ფერიები სწმინდამენ ამ ნივთებს თავისი ლეჩაქებით).

ფერიები. შავ ბნელნო ძაღნო,
შხამით სავსენო,
ქვესკნელის მკვიდრნო,
ბოროტის მქნელნო,
ნუ ერჩით კაბუკს!
წარვედ გაჰქრენით,
ჯურღმულს ჩავარდით!

პირიმზე. როგორ იცვალა ფერი სალამურმა, როგორ გაბრწყინდა ტალკვისი და ხანჯალი... გაეცალა ეშმაკის ძალა, წყველა და კრულვა... (სალამურს და ტალკვისს ისევ ჩაუღებენ ჯიბეში და ხანჯალს შემოართყამენ).

მთვარია. ახლა კი მოიგონებს ყოველისფერს... (ისმის მუსიკა და ხორო: „სამშობლო, ჩემო ზურმუხტო!“ და სხვა. ფერიები უნიავებენ ლეჩაქებს. გამოქვაბულში ცისფერი სინათლეა და ბუნდოვანად გამოჩნდებიან მეფე ჯიმშერი, დედოფალი და გორჯასპი. მათ ხელები ავთანდილისკენ აქვსთ გამოშვერილი, თითქოს ეძახიან).

ავთანდ. (ძილში წამოჯდება და გაიშვერს ხელებს გამოქვაბულისაკენ). სამშობლო... დედა... მამა... ძმა...

პირიმზე. ხედავს, ხედავს... ავანდებია!.. (მევა და შეუბერავს ავთანდილს. გამოქვაბულში სინათლე ჰქრება).

ავთანდ. (წამოხტება) სამშობლო... დედა... მამა... (ყვირის) მახსოვს, მახსოვს... დედა, დედა... წამიყვანეთ!.. მასწავლეთ გზა!.. (მუსიკა და ხორო ნაზის ხმით) მახსოვს ჩვენი სასახლე, ჩვენი ბაღი, ჩვენი კაკლის ხეები... ჩემი ტოლ-ამხანაგები... გვედრებით, მასწავლეთ გზა... მიწვენეთ...

პირიმზე. წადი, წადი!.. მიჰხედე შენს სამშობლოს... იგი დიდს განსაცდელშია... შენ მოგელოდებიან გლოვით და სევდით დატანჯულნი შენი მშობლები, შენი ერი... აღიღე ხელში შანდალი... იგი სინათლის ქვეყნიდან არის... იგი გაგიშუქებს სწორ გზას... მჭვას მისდიე... ნურსად აუხვევ... სინათლით მოფენილი შენი ქვეყანა კვლავ აღუყვავდება...

მთვარია. უძღურია სინათლეთან ქვესკნელთა ძალა...


ბროლისახე. სინათლე არღვევს სიბნელეს...

ნათელა. აშუქებს და აცხოველებს ქვეყანას...

წკრილა. კვლავ გაიხარებს მეფე ჯიმშერის ბრწყინვალე სასახლე...

ანკარა. კვლავ გაიფურჩქნებიან და გაიშლიებიან ნაირ-ნაირი ყვავილ-მცენარენი სასახლის ბაღში...

ავთანდ. მივდივარ, მივდივარ... ახ, ნეტავი ფრთები შეგესხას და უმალ მივფრინდე ჩემს სამშობლოში, ჩემს მშობლებთან... დედა, მამა, ძმა... (მუსიკა უკრავს „სამშობლოს“).



კიევის გამოფენა. დ. სარაჯიშვილის პავილიონი.

ავთანდ. თითქოს გუშინ დავტოვე ჩვენი მშვენიერი ბაღი... თითქოს გუშინ მოვშორდი დედიჩემის მკერდს... თითქოს გუშინ მომგლიჯეს მშობელ ერს და მიწას... (აღგება, შანდალი ხელში უკავია) სინათლევ, შენ გამოშუქე სწორე გზა, შენ მიმიყვანე სამშობლოში და, ვფიცავ, მთელს ჩემს სიცოცხლეში არ გიღალატებ.

პირიმზე. რა გაჭირვებაშია ც კი უნდა იყო, მიიღე ყურთან შენი სალამური, იგი განწმენდილია ყოველგვარ სიბოროტისაგან, იგი ახლა წყაროა სიკეთისა, სიმართლისა... მიიღე ყურთან და იგი გიჩურჩულებს როგორც უნდა მოიქცე... მალლა გექიროს ოქროს შან დალი, მნათობი წინ-მსვლელობისა და წარმატებისა.—წადი. დაადექ გზასა... ნურსად შეუხვევ, ნურსად შეჩერდები... შანდალი და სალამური კარგი თანამგზავრები გყავს... გზაში არ მოგწყინდება... შანდალი სამშობლოს სურათებს დაგხატავს თვალ-წინ, სალამური ნაზ მშობლიურ ჰანგზე დაგიმღერს... გააქერ სანთელი, ჩვენ წავალთ... და გახსოვდეს როდესაც კი ანათებ სანთელს მაგ შანდალისას, უმალ ჩვენ გაეჩნდებათ, სადაც კი უნდა იყო... (ავთანდილი აქრობს შანდალს. ფერიები ტყეში შეცვივდებიან. ავთანდილი მიდის, ხელში შანდალი უჭირავს. არე-მარე ვარდის ფრად იღებება. მუსიკა მხიარულ მარშს უკრავს.)

ფ ა რ დ ა .

სურათი II

კლდე-ღრენი. ხარ-დამცემი ბუნება. ყოველისფერი გადამხმარა და გაყვითლებულა. შორს მოსჩანს ნახევრად დანგრეული და გადამწვარი სოფელი. სცენაზე ხალხი, კაცები და ქალები ძაძებში. სევდა და მგლოვიარება ეტყობათ,—ჯგუფ-ჯგუფად სხედან. წინ პირველი და მეორე გლეხი.

პირველი გლეხი. ნეტავი დღეს საიდან გამოჰყოფს თავს ჩვენი დამღუპველი?

მეორე გლეხი. საიდანაც უნდა გამოჰყოს თავი მაინც კეთილს არ დაგვაყრის...

პირველი გლეხი. ეჰ, ჩემს მტერს არ ვუსურვებ იმას, რაც საწყალ მეფეს მოეღის...

მეორე გლეხი. ხუმრობა საქმე კი არ არის, ერთად ერთი შვილი უნდა გასწიროს...

პირველი გლეხი. კაცო, მართალსა ლაპარაკობენ... გველეშაპს დღეისთვის მცფის შვილი მოუთხოვიაო...

მეორე გლეხი. მამა კაცო... გუშინ გამოუცხადებია... გლეხების ხორცი მომწყინდა,—ახლა შენი შვილისა მინდაო... გამოგზავნი; თუ გამოიცნო ჩემი გამოცანები ხომ შენი იღბალიო, თუ არა და ნურას დამემღურები—გადავყლაპამო...

პირველი გლ. ეჰი, პა, პა, პა... საიდან რა გაჩნდა ეს ოხერი გველეშაპი, ადამიანო?

მეორე გლ. ეხ, ძმაო, რაც ის მეფის შვილი ავთანდილი მოიტაცეს, ჩვენს სამეფოს კეთილი აღარა უნახავს-რა... შიმშილი, შავი ქირი, მტრისგან დარბევა... სულ ზედი ზედ მოჰყვა... ნახევარი სამეფო ამოწყდა და შეგოა კი არსაიდანა სჩანს.


პირველი გლ. ევა თქვი, ადამიანო, და... აქნობადისინ მარტო ჩვენ გლეხ-კაცობას სკამდა ე ტიალი გველეშაპი... ახლა კი დიდებულებსაც მიჰყო ხელი...

მეორე გლ. შე კაი კაცო, მარტო შავს პურს ვინ დასჯერდება, ზოგჯერ თეთრსაც მოითხოვს...

პირველი გლ. სამართლიანობა კია... მთელს სამეფოს შემოესია გველეშაპი და მარტო ჩვენ რად უნდა გავცეთ პასუხი?..

მეორე გლ. შენც ერთი, დამიწყებ რაღებებსაც... ჩვენი ზურგი უფრო მაგარია, ჩვენ სწორედ იმისთვის ვართ გაჩენილი, რომ ქვეყნის ტვარით ვზიდოთ (შემოდის ავთანდილი ხელში შანდალით).

ავთანდ. ქრისტიან ხალხს გაუპარჯოს... კეთილი იყოს თქვენი აქ შეყრა...



კიევის გამოფენა. გ. დოლაბერიძის სარდაფი კახური ლვინოებისა.

პირველი გლ. გაგიმარჯოს! საიდან მოდიხარ, ან ვის ეძებ აქ?..

ავთანდ. მთელი სოფელი დავიარე— ქაქანება არ ისმის, თითქოს მტერი დასცემია და სულ გაუნადგურებიაო... ნახნავ-ნათესი არსადა სჩანს... ბალ-ვენახები სულ გადაშხმარა... ქვეყანას თითქოს მეკვდრის სუღარა გადაჭფარებია... რა მოხდა, რა დაგემართათ? თუ მტერი დაგეცათ, იმდენად ლაჩრები და მხდალები როგორ იყავით, რომ ვერ მოიგერიეთ?.. რამ მოგიყვანათ და შეგყარათ ამ კლდე-ღრეში?

პირველი გლ. შენ, ქაბუკო, ძან დიდგულათა ხარ... ჯერ უღვაშიც არ ამოგსვლია და ისე ლაპარაკობ თითქოს, თუ მოინდომე, ქვეყანას გადაატრიალებ.

მეორე გლ. ერთი კი დაინახოს გველაშაპი და მგონია შიშით გულო გაუსქდეს...

ავთანდ. გველაშაპი?.. გველაშაპს აქ რა უნდა?..

პირველი გლ. აი, ცოტა მოიცადე და ნახავ...

მეორე გლ. საიდან მოდიხარ რომ არ იცი რა უბედურება დატრიალდა ჩვენს სამეფოში?

ავთანდ. სინათლის ქვეყნიდან მოვდივარ..

პირველი გლ. შორს არის ეგ ქვეყანა? იქაც იცის გველაშაპი?..

ავთანდ. ცხრა მთას იქით არის სინათლის ქვეყანა... გველაშაპს იქ რა უნდა. მუდამ სინათლეა... არც ერთ ბნელეთის მცხოვრებს იქ ადგილი და ძალა არა აქვს... სინათლის ქვეყანამ არ იცის 'შიშშილი', ძალმომრეობა. უსამართლობა, ომი, შფოთი... თანასწორობა, ძმობა და თავისუფლება სუფევს იქ... იქ გველაშაპი ვერას გახდება...

მეორე გლ. ე—ე, ძან ქვეყანა ყოფილა, თუ კი არა სტყუი... ეგ შანდალი რაღა... ლიტანიის გამართვას თუ აპირებ?..

ავთანდ. ეს შანდალი სინათლის ქვეყნიდან არის... იგი მაჩვენებელია სწორე გზისა. იგი დამამხობია ყოველგვარ სიბნელისა, სიბოროტისა...

პირველი გლ. ჰე—ე, ძან შანდალი ყოფილა... მაშ, გველაშაპსაც მოერევი, შენ როგორც გატყობ...

ავთანდ. თუ გაჭირდა, იმასაც მოვერევი.. (ხალხი მოქუჩდება) თქვენა ხართ ლაჩრები, თორემ გველაშაპს ბევრი კი არა უნდა—რა... (ისმის ხმები: ჟინა გდია, რომ დაგვცინის კიდევ! გაეთრიოს აქედან!..)

პირველი გლ. მოიცა, ერთი ამ დაღონებულ გულოზე ცოტა გაგვაშხიარულოს მაინც, შორიდან მოდის იქნებ კარგი რამ გვიამბოს... ცოტათი გავერთობით მაინც... (ისმის საყვირის ხმა)

მეორე გლ. იქათ, იქით ხალხნო... ადგილი! მეფე და დედოფალი მობძანდებიან...

ავთანდ. კარგია... სწორედ მეფის ნახვა მინდოდა...

პირველი გლ. მეფეს შენთვის თუ სცალიან...

ავთანდ. რატომაც არა... ეგები რა საჭირო საქმე მაქვს...

მეორე გლ. რის საქმე, ბიჭო?.. დღეს გველაშაპმა დაიბარა მეფე... შენი შვილი მომიყვანეო... აქნობამდისინ ყოველ დღე ოცი ქალი და კაცი მოჰყვანდათ გველაშაპთან... გველაშაპი სამ გამოცანას იტყოდა და თუ ვერ გამოიცნობდნენ ამ მოყვანილ ქალ-ვაჟს შთანთქამდა. ესე იყო ოთხი წელიწადი.

ავთანდ. ნუ თუ ერთი ვერავინ აღმოჩნდა გამოცანები გამოეცნო?

პირველი გლ. შენმა თავის მზემ, შენ თუ გამოიცნობ... ქვეყნის ბრძენნი და ნასწავლნი მოდიოდნენ ვერავინ გამოიცნო და შენ რომელი სოლომონ ბრძენი აღმოჩნდი?..

მეორე გლ. დღეს მეფის შვილი მოითხოვა... თუ შემკვიდრე ჩვენი გამოიცნობს გამოცანებს, გველაშაპი აიყრება და მოგვეშორდება, თუ არა და ვაი ჩვენს თავს... მეფის შვილს დაეკარგავთ... (შემოდინ მეფე, დედოფალი, გორჯასპი, სპასალარი, ვეზირი და ამაღა. ყველანი ძაძებში არიან, მწუხარებით სავსენი. ხალხი ღუმლით ადგილს უთმობს მეფეს).

მეფე. დადგა, ხალხო, აღსასრულის დღე... უბედურობა არ გვეშორდება... უზენაესმა აგვაშორა მოწყალე თვალი... ალბად შეეცოდეთ რამე...

ხალხი. ღმერთი მაინც მოწყალეა, იქნებ გვეშველოს რამე...

ავთანდ. (წარმოდგება წინ) დიდებულო მეფე!.. რად ეძლევი მაგრე სასოწარკვეთილებას?.. რატომ დაგიკარგავს სრულიად იმედი? მაგრად დაუხვდი მტერს, გრწამდეს სინათლის ძალა და გინდ მთელი ჯოჯოხეთი ამხედრდეს შენს წინააღმდეგ, ვერას გახდება...

მეფე. ვინ არის ეს ქაბუკი?.. თითქოს ჩვენებურს არ უნდა ჰგავდეს... სახე როგორღაც უბრწყინავს...

პირველი გლ. დიდებულო მეფე! ე ბალლი იძახის სინათლის ქვეყნიდანა ვარო... ძან ტრაბახობს: გველაშაპს მოვერევიო...

მეფე. გამოგონია სინათლის ქვეყანა, მაგრამ მისი კი არა მჯერა—რა... თვალთ არ მინახავ... და ვერც დავიჯერებ...

ავთანდ. სცადე, მეფე, მისი სიძლიერე და დარწმუნდები...

აი ქვეყნის ნაშობი დღეს შენს ვაჟს მსხვერპლად ითხოვს... შემომხედე მე... სახით მგონია შენს შვილსა ვგეგვარ... მოდი, შეეცვალოთ ტანსაცმელი და მე წარვუდგები გველაშაპს... თუ გამოვიყვანე მისი სამი გამოცანა,—ხომ კარგი... ეგ ჩემი იღბალი და თუ არა,—გვეც ჩემი ბედი. დეე, შე ვიყვე მსხვერპლი...

დედოფ. უი, შენ დედასა, ქაბუკო!.. არ გეშინიან? არ იცი რა არის გველაშაპი?..

ავთანდ. არა უშავს—რა, დედოფალი! მე გინდაც რომ დავიღუპო, ქვეყანას არა დაუშავდება—რა... და შემკვიდრეს კი რომ დაემართოს რამე, მთელი ქვეყანა განსაცდელში ჩავარდება...



კიევის გამოფენა. გ. დოლაბერიძის სარდაფი შიგნიდან.

მეფე. ბრძნულად და ვაჟკაცურად სჯი, ქაბუკო!.. მაგრამ ვეზიშობ, რომ ვერც შენ გადარჩები და ხვალ გველემშაპი მაინც მოითხოვს...

სპასალ. აბა, დიდებულო, რა შეუძლიან ამ ბაგშეს. მამაცობა კარგია, თუ კი რაიმე მიზანს მიაღწევს. მგონია უკეთესი იქნება გველემშაპთან მოლაპარაკება გავმართოთ. დეე წააყვანოს რამდენიც უნდა ქალ-ვაჟი და შენი შვილი კი დაგვითმოს. ისეთი ხარბი და გაუმაძლარია, რომ დასთანხმდება...

ავთანდ. აბა, ცოტათი ჩემს ძალას და უნარს გაჩვენებთ და იქნებ დასთანხმდეთ ჩემს წინადადებაზე (დაჯდება, ცეცხლს გამოჰკვესავს და ანთებს სანთელს. კლდეებიდან გამოკვივიან ფერიები: პირიმზე, მთვარია, ნათელა, წკრილა, ბროლისახე და ანკარა. გარს შემოერთყმინ ავთანდილს, მერმე ნარნარით გარს უვლიან. ფერიები ბრწყინავენ. ხალხი გაშტერებულია. ავთანდილი გააქრობს სანთელს და ფერიები კლდეში დაიმალებიან).

მეფე. გულთმისანი თუ ხარ?.. სასწაულთ-მომქმედი...

ვეზირი. იქნებ ამოდენა უბედურობის შემდეგ მართლა ბედნიერების შიკრიკი მოგვევლინა.

სპასალარი. დასთანხმდი, მეფე, შეუცვალოთ ტანსაცმელი... ეს ქაბუკი საბედნიეროდ არის მოვლენილი... იგი ძლიერა-მოსილია ჯოჯოხეთის დამთრგუნველ ძალით...

ხალხი. სადაცაა გამოჩნდება გველემშაპი... დასთანხმდი მეფე!

მეფე. კარგი.. ქაბუკო, მე თანახმა ვარ... გვიხსენ ამ საშინელებისაგან და... (ქექა-ქუხილი. გრივალი. ხალხი შეძრწუნდება).

ვეზირი. (გაიყვანს ავთანდილს და გორჯასპს) ჩქარა ჩქარა... თორემ გამოჩნდება მალე...

დედოფალი. ღმერთო, შენ მოუმართე ხელი იმ დალოცვილის შვილს...

მეფე. იქნებ მარტო მოგვხედოს მაღალმა ღმერთმა! (შემოდინ ვეზირი, გორჯასპი და ავთანდილი. ამ ორთ შეუცვლიათ ტანსაცმელი. გორჯასპი ხალხში გაერევა და ავთანდილი მეფე დედოფალთან დგება. გაისმის მეორედ ქექა ქუხილი, ქარის ზუზუნი. მარცხნივ გაიპობა კლდე და გამოჩნდება გველემშაპის თავი. თვალებიდან და პირიდან ცეცხლს აფრქვევს...)

გველემშაპი. (რამდენიმე ხმით) მეფე! წამოაყენე შენი შვილი...

ავთანდ. (მიუახლოვდება გველემშაპს) აქა ვარ, რა გნებაეს?

გველემშ. ძალიან გულადად მოსულხარ... არ ვიცი კი რის იმედით?..

ავთანდ. მაგას მერმე დავინახავთ.. შენ სთქვი, რაც სათქმელი გაქვს...

გველემშ. ფრთხილად... შენ ძალიან მაბრაზებ... უზრდელი ვილაცა ყოფილხარ. სხვას ვაცლი სამ გამოცანამდე და შენ კი პირველის შემდეგ გავსწორდები.

ავთანდ. ანგარიშები მერმე გავსწოროთ... წამოროშე რაც სათქმელი გაქვს... როგორც გეტყობა არ მოელოდი და არა ხარ ჩვეული წინააღმდეგობას... აღბად შიშმა აფიტანა...

გველემშ. ეი, ლაწირაკო, ბრაზზე ნუ მომიყვან... თორემ...

ავთანდ. კარგი, დროს ნუ ვკარგავთ. სთქვი პირველი... გატყობ, ვერ მოგიგონია...

გველემშ. აბა!

მშრომელი ავია,
ნაშრომი ტკბილია,
ცეცხლი მოედო,
მილტვის ზეცას!

ავთანდ. (მიიღებს ყურთან სალამურს) ეგ არის შენი გამოცანა?.. ხა, ხა, ხა... თუ სულ შენი ქკუის პატრონები არიან ჯოჯოხეთში, იქ სიბრძნე ძვირი საშოვნელი იქნება...

გველემშ. გამოიცანი და ნუ მასხრობ, თორემ მოთმინება მეკარგება...

ავთანდ. რა გამოვიცნო, ცხადზე ცხადია... ფუტკარი, თაფლი და წმინდა სანთელი... გაგიწყრეს მისი მადლი შენ...

გველემშ. მარ...თა...ლია...

ყველანი. გამოიცნო, გამოიცნო! ვაშა!

გველემშ. ვინ ხარ შენ? თუ ჩვენებური?..

ავთანდ. შენინანი რომ ვიყო, ხომ გეცნობებოდი... ეგეც მერმე იყოს... წამოროშე შენი მეორე გამოცანა.

გველემშ. მიუღი მოვრიგდეთ... მთელს სამეფოს მოგცემ, ოლონდ გამშორდი აქედან, თორემ, თუ მეორეს ვერ გამოიცნობ...

ავთანდ. ჰა, შეგეშინდა!.. სთქვი რალა...

გველემშ. კარგი და აბა ნუ გამოიცნობ...

ერთად შობილან,
ერთი მეორეს დასდევნებია,
ვერც დასწევია, ვერც დაშშორებია?

ავთანდ. არა, ძმაო. შენ ქვესკნელს ვერ ასახელებ. ფუი შენს ქკუას თუ კი მაგაზე მეტი ვერა მოიგონე-რა...

გველემშ. გამოიცანი, ნუ მასხრობ... მოთმინება აღარა მაქვს...

ავთანდ. (მიიღებს ყურთან სალამურს) აჰა,—დღე და ღამე...

გველემშ. ვფიცავ ჯოჯოხეთს, შენ მოგზავნილი ხარ ჩენი მტრისაგან...

ავთანდ. საიდანა ვარ, ეგ სულერთია... ხომ გამოვიცანი?

გველემშ. მარ...თა...ლია...

ყველანი. გამოიცნო, გამოიცნო!.. ვაშა, გაუმარჯოს!

ავთანდ. აბა, ახლა მესამეც და მერმე სეირს უყუროთ... სთქვი მესამეც...

გველემშ. მოდი მოვრიგდეთ... მთელს სამეფოს გაჩუქებ... ტომრებით თვალ-მარგალიტს მოგიტან...

ავთანდ. ჰეე, შეგეშინდა?.. სთქვი და ანგარიში მერმე იყოს.

გველემშ. ბელოზვეულს ვფიცავ, თუ ეს არ გამოიცანი, შენი ტანჯვით დედამიწა შეიძვრის და თვით ჯოჯოხეთი შეძრწუნდება...

ავთანდ. კარგი, კარგი, ვნახოთ... სთქვი რალა...

გველემშ. მორბის, მოქქუხის,

არ იღლება,
ოფლი კი ასდის,
დედის ძუძუს
ხანს სწოვს,
ხან ღრღნის.

ავთანდ. შიშისგან ქკვა სულ დაგბნევია... მაგას ძუძუთა ბავშვიც კი გამოიცნობს...

გველემშ. აბა, მაშ, გამოიცანი!

ავთანდ. (მიიღებს ყურთან სალამურს) მდინარე და დედა-მიწა...

გველემშ. ვაიმე, დავიღუპე! (გრივლი და ქუხილი, ამოვარდება ცეცხლი. ავთანდილი სანთელს აანთებს, გამოკვივიან ფერიები და აქეთ-იქით ავთანდილს მხარში ამოუდგებიან. ავთანდილი შანდლით ხელში მიდის გველემშთან, ფერიები ღეჩაქებს უნიავებენ. გველემშის თავი უკან გადავარდება და კლდე შეიკვრება. ავთანდილი აქრობს სანთელს, ფერიები იმალებიან). ხალხი აღტაცებაშია. აიყვანენ ხელში ავთანდილს და მიჰყავთ მეფესთან. ხორო და მუსიკა: „აღდექით გმირნო“-ს მღერის).

მეფე. აკურთხოს უფალმა, ქაბუკო, შენი მარჯვენა, მთელი ქვეყანა გადაარჩინე. გვითხარ ახლა, ვინა ხარ? ვისი სახელი უნდა ვილოცოთ?..

ავთანდ. მე... თქვენი შვილი, ავთანდილი, გახლავართ...

მეფე. როგორ?..

დედოფ. (მისწვდება ავთანდილს და ყურის ძირებს უშინჯავს). ერთი ხალი... აი მეორეც... (შეჰკივლებს და ჩაიკრავს გულში) ჩემო შვილო, ჩემო ავთანდილი!

მეფე. (მოცხვევა ავთანდილს) გმადლობ, შენ ღმერთო...

ხალხი. გაუმარჯოს მცდის შვილს ავთანდილს! (ისმის ისეგ: „აღსდექით გმირნო!“)

ფ ა რ დ ა .

სურათი III.

ცოცხალი სურათი. იგივე დეკორაცია. სცენა ვარდისფრად არის განათებული. მეფე დედოფალი სხედან. წინ მათ ფერხით გორჯასპი. ორივე მხრივ ამაღლა და ხალხი, მეფე დედოფლის უკან მდლობზე ავთანდილი, ორივე მხრივ მის გვერდით ფერიები. ავთანდილს ხელში შანდალი ანთებული სანთლით. ფერიებს ღეჩაქები გაშლილი აქვთ. ზორო მღერის და მუსიკა უკრავს: „სამშობლო“-ს).

ფ ა რ დ ა .

ი. გედევანიშვილი.